გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 15
2023 წლის 13 იანვარი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის დიცის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია დიცის ადმინისტრაციული ერთეულში მერის წარმომადგენელის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მოთხოვნილია დიცის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში გეოგრაფიული პუნქტებისა და გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი საგზაო ნიშნების განთავსება.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და მიზანშეწონილად მიიჩნია გორის მუნიციპალიტეტის დიცის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე (სოფლების მიხედვით) განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) სოფელ დიცის გასასვლელში:

ა.ა) -5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „დიცი“;

ა.ბ) -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „დიცი“.

ბ) სოფელ ქორდის დასაწყისში და ბოლოში:

ბ.ა) -5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „ქორდი“;

ბ.ბ) -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „ქორდი“.

გ) სოფელ არბოს დასაწყისში და ბოლოში:

გ.ა) -5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „არბო“;

გ.ბ) -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „არბო“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის დიცის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე (სოფლების მიხედვით) განთავსდეს მითითებული საგზაო ნიშნები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გორის მუნიციპალიტეტის დიცის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე (სოფლების მიხედვით) განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) სოფელ დიცის გასასვლელში:

ა.ა) -5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „დიცი“;

ა.ბ) -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „დიცი“.

ბ) სოფელ ქორდის დასაწყისში და ბოლოში:

ბ.ა) -5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „ქორდი“;

ბ.ბ) -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „ქორდი“.

გ) სოფელ არბოს დასაწყისში და ბოლოში:

გ.ა) -5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „არბო“;

გ.ბ) -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „არბო“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე